



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
მდივნის
განკარგულება №02-762/2018

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისთვის,
ა.(ა).ი.პ. „მონიტორინგის ცენტრი - მედიატორი“ დამკვირვებლების რეგისტრაციის
თაობაზე

ქ. თბილისი

2018 წელი 20 ნოემბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის მე-7 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 78-ე მუხლის მე-12 პუნქტისა და „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურის გამართვისათვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და ვადების დადგენის შესახებ“ ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2018 წლის 7 ნოემბრის №52/2018 დადგენილების მე-4 მუხლის საფუძველზე, ვადგენ:

მუხლი 1. საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისთვის, რეგისტრაციაში გატარდნენ ადგილობრივ დამკვირვებლებად და მიენიჭოთ დამკვირვებლის სტატუსი ყველა ღონის შესაბამის საარჩევნო კომისიაში ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ა.(ა).ი.პ. „მონიტორინგის ცენტრი - მედიატორი“ წარმომადგენლებს, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

